საიდ. №73352/03

IR 1168104

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №116-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „არტსანა ს.პ.ა.” („ARTSANA S.P.A.”) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №116-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1147/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHICCO” (საიდ. №73352/03 IR 1168104) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის №1147/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „chicco" ჟღერადობით ჰგავს ფიზიკური პირის თორნიკე არჩვაძის სახელზე საქპატენტში რეგისტრირებულ ნიშანს “CHICO'S” (რეგ. N 19391, რეგ. თარიღი: 03/06/2009), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 35-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „არტსანა ს.პ.ა.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან ვიზუალურად და ჟღერადობით. ეს განსხვავება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ორი სასაქონლო ნიშნით მონიშნული მომსახურების მომწოდებელთა ერთმანეთში აღრევა. კერძოდ, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური შრიფტით შესრულებულ სიტყვას „CHICCO“, რომელიც ქართულად იკითხება როგორც ”კიკო” ან ”ჩიკო”. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ”CHICO’S” ასევე ექვსასოიანია და ქართულად გამოითქმის, როგორც ”კიკოს” ”ჩიკოს”. აპელანტის პოზიციით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ლათინური ასო-ბგერა ”C” ორია, მაშინ როცა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ის მხოლოდ ერთია. განცხადებული

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ძირითადი (თხრობითი) ფორმით არის მოცემული, მაშინ როცა  დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ფორმა კუთვნილებითია. ეს გარემოება ქმნის ამ ორ ნიშანს შორის განსხვავების საკმარის დონეს, რათა არ მოხდეს ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული მომსახურების მომწოდებლების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის აზრით, არაერთგვაროვანია აგრეთვე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით დაცული და აპელანტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნით განცხადებული მომსახურებათა სფერო, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების სახეობები ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე 35-ე კლასს მიეკუთვნება, კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 35-ე კლასის შემდეგი მომსახურებისათვის: „იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები, საცალო და საბითუმო მაღაზიები“, აპელანტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა კი მოითხოვება იგივე 35-ე კლასის შემდეგი მომსახურებისათვის: „რჩევები ფრენშაიზინგი დაკავშირებული ბიზნესის სფეროში; სარეკლამო მომსახურება; კონსულტაციები ბიზნესის ორგანიზაციასა და მენეჯმენტში“ (Business advice relating to franchising; advertising services; business organisation and management consulting). მომსახურების ამ ჩამონათვალთა შედარებისას აშკარად ჩანს, რომ მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც რეგისტრირებულია  დაპირისპირებული  სასაქონლო ნიშანი, სპეციფიკურია და მხოლოდ საქონლის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, მაშინ როცა განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მომსახურებისათვის, რომელიც ეხება სხვადასხვა სახის ბიზნესის ორგანიზაციასა და მენეჯმენტთან დაკავშირებულ რჩევებს, რეკლამასა და კონსულტაციებს. აპელანტის მითითებით, 2001 წლის ივლისიდან საქართველოში ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით, ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის 3, 5, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 18, 20, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30 და 32 კლასებისათვის,  საქართველოში დაცულია და დღემდე მოქმედებს მისი კუთვნილი საერთაშორისო სტილიზებული სასაქონლო ნიშანი “chicco”

(IR763084). გარდა ამისა, აპელანტი აღნიშნავს, რომ  საქართველოში მოქმედებს კომპანიის „არტსანა ს.პ.ა.“ წარმომადგენლობა და სამი საფირმო მაღაზია. ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნული და წარმოებული საქონელი იყიდება სააფთიაქო ქსელებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და აქედან გამომდინარე ის საკმაოდ ცნობილია ქართველი მომხმარებლისათვის. აპელანტის აზრით, ზემოაღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ კომპანიის „არსტანა ს.პ.ა.“ სასაქონლო ნიშანს „CHICCO“ საქართველოში იყენებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მოხდებოდა დაპირისპირებული სასაქონლო “CHICO'S” ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში. აპელანტი თვლის, რომ პარიზის კონვენციის 6quinquies  მუხლი, C პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი გამოყენების ფაქტიც უნდა იყოს გათვალისწინებული სააპელაციო პალატის კოლეგიის მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1147/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CHICCO” (საიდ. №73352/03 IR 1168104) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია არ ეთანხმება აპელანტის არგუმენტაციას და მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,CHICCO" და დაპირისპირებული ნიშანი ,,CHICO'S" მსგავსია. ორივე ნიშანი სიტყვიერია, შესრულებულია ლათინური შრიფტით და ორივე მათგანი შედგება ექვსი ასოსაგან, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის ნიშნების მსგავსებას. გარდა ამისა, იდენტურია ნიშნების პირველი ოთხი ასო ,,CHIC"/,,CHIC" და ასევე, განცხადებული ნიშნის ბოლო და დაპირისპირებული ნიშნის მეხუთე ასო - ,,O". სააპელაციო პალატის კოლეგია ასევე, არ იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურად. კოლეგიის აზრით, ნიშნები ქართულად მსგავსად გამოითქმის: ,,ჩიკო" და ,,ჩიკოს". რაც შეეხება ნიშნების სემანტიკას, ესპანურ ენაზე ,,CHICO" ნიშნავს პატარა ბიჭს (ABYYY Lingvo12), ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ,,CHICO'S" წარმოადგენს მის მრავლობით ფორმას და აღნიშნავს ,,პატარა ბიჭებს". ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებული ნიშნის ,,CHICCO" გამოთქმისას მასში შემავალი დამატებითი ასო - „C" არსებობა არ ცვლის ნიშნის ჟღერადობას, ნიშნები მსგავსია სემანტიკური თვალსაზრისითაც.

კოლეგია ასევე არ იზიარებს აპელანტის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ სასაქონლო ნიშნის ,,CHICCO" 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალი: „რჩევები ფრენჩაიზინგთან დაკავშირებული ბიზნესის სფეროში; ბიზნესის ორგანიზება და კონსულტაციები მენეჯმენტში", განსხვავდება დაპირისპირებული ნიშნის ,,CHICO'S" 35-ე კლასის, შემდეგი მომსახურების ჩამონათვლისაგან: „იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები, საცალო და საბითუმო მაღაზიები."

კოლეგიის მოსაზრებით, აღნიშნული მომსახურების ჩამონათვალის შედარებისას აშკარაა მსგავსება. კერძოდ, - ისეთი სახის მომსახურება, როგორიც არის „რჩევები ფრენჩაიზინგთან დაკავშირებული ბიზნესის სფეროში; ბიზნესის ორგანიზება და კონსულტაციები მენეჯმენტში" დაკავშირებულია და შესაძლებელია მოიცავდეს როგორც იმპორტ-ექსპორტის სააგენტოების მიერ, ისე

საცალო და საბითუმო მაღაზიების მიერ გაწეულ ამა თუ იმ მომსახურებას. ორივე ნიშნის მომსახურების ჩამონათვალი უშუალოდ დაკავშირებულია ბიზნესის წარმოებასთან, მის მართვასა, თუ განვითარებასთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, ერთ სასაქონლო ბაზარზე, აღნიშნული მსგავსი მომსახურების ჩამონათვლის პირობებში, იარსებებს დაპირისპირებული ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ ერთადერთი განსხვავებული მომსახურების ჩამონათვალი, რომლის მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში, არ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, არის - ,,სარეკლამო მომსახურება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, 35-ე კლასის მომსახურების ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში, ადგილი არ ექნება ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,CHICCO” (საიდ. №73352/03 IR 1168104) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „არტსანა ს.პ.ა.” („ARTSANA S.P.A.”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის №1147/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CHICCO” (საიდ. №73352/03 IR 1168104) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სარეკლამო მომსახურება“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| კოლეგიის თავმჯდომარე: | მ. ფრუიძე |
| წევრები: | ლ. კერესელიძე |
| | ქ. კილაძე |